

შუშანიკის წამების გვიანდელი რედაქციები

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი
და საძიებლები დაურთეს
ნ. მრევლიშვილმა, თ. ჭიქურაშვილმა და რ. სტურუამ.

I₂

თბილისი
2024

Later editions of the Martyrdom of Shushanik

Texts were prepared for publication, survey, dictionary and
indexes were added by

N. Mrevlishvili, T. Jikurashvili and R. Sturua

12

Tbilisi
2024

მუშანკის წამების გვიანდელი რედაქციები

პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში.

რედაქტორი – **ქ. დათუკიშვილი**
რეცენზენტი – **ს. გულიაშვილი**

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი – **მ. სანაძე**

სარედაქციო საბჭო:
ქ. დათუკიშვილი
ნ. მრევლიშვილი
თ. ჭიჭურაშვილი

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

დაბეჭდილია საქართველოში.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ©2024.
The University of Georgia Publishing House, © 2024.

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი.
The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies.
თბილისი 0171, მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა.
ug@ug.edu.ge; www.ug.edu.ge

ISBN: 978-9941-9896-4-3

შუშანიკის წამება ქართული ორიგინალური მწერლობის პირველი ძეგლია, ამდენად, გასაკვირი არაა, რომ იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ V საუკუნეში დაწერილი ამ ჰაგიოგრაფიული თხზულების მიმართ მეცნიერული ინტერესი დღემდე არ განვლებულა. სხვადასხვა პერიოდში *წამება* რამდენჯერმე გამოიცა (მ. საბინინის, ს. გორგაძის, ი. აბულაძის, ც. ქურციკიძის, ე. ჭელიძის და სხვათა მიერ), აქედან ოთხჯერ – კრიტიკულად. ი. აბულაძის მიერ გამოცემულია აგრეთვე ქართული მოკლე, სომხური ვრცელი და მოკლე და ასევე – სვინაქსარული რედაქციები.

გარდა მითითებულისა, არსებობს *შუშანიკის წამების* გვიანდელი რედაქციებიც. წინამდებარე გამოცემა სწორედ ამ ტექსტების პუბლიკაციას სთავაზობს მკითხველს: 1. XVIII საუკუნეში **ანტონ კათალიკოსის მიერ რედაქტირებული და მის მიერვე *მარტირიკაში* შეტანილი *შუშანიკის წამება***, რომელიც გამოცემული იყო ორი ხელნაწერის მიხედვით. ჩვენ მას ვაქვეყნებთ შვიდი, ანუ სრულად მოღწეული ყველა ხელნაწერის მიხედვით; 2. ანტონის ტექსტზე დაყრდნობით შექმნილი **იოანე ბატონიშვილის რედაქცია, რომელიც მან *კალმასობაში* ჩაურთო**. ქვეყნდება პირველად; 3. XIX საუკუნის ჰაგიოგრაფიულ კრებულში შესული **იოანე ბატონიშვილის რედაქციის გადამუშავებული ვარიანტი**, რომელიც ასევე პირველად ქვეყნდება.

გამოცემა მომზადდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში. გამოცემის მომზადებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ინსტიტუტის თანამშრომლებმა – ლ. ვაშაყმაძემ, თ. ბერუაშვილმა და მ. ალავერდიაშვილმა.

სარჩევი

წინათქმა	6
ბიოგრაფიები	9
კათალიკოსი ანტონ I (ბაგრატიონი) – ცხოვრება და მოღვაწეობა	9
იოანე ბატონიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა	12
<i>შუშანიკის წამების</i> გვიანდელი რედაქციების შესახებ	14
<i>შუშანიკის წამების</i> ანტონ კათალიკოსისეული რედაქცია (<i>მარტირიკიდან</i>)	14
<i>შუშანიკის წამების</i> იოანე ბატონიშვილისეული რედაქცია (<i>კალმასობიდან</i>)	21
ხელნაწერთა აღწერილობანი	26
ანტონ I-ის <i>მარტირიკის</i> ხელნაწერები	26
იოანე ბატონიშვილის <i>კალმასობის</i> ხელნაწერი	28
ჰაგიოგრაფიული კრებული (გამოკრებილი ნუსხა)	29
ტექსტები	31
<i>შუშანიკის წამების</i> ანტონ კათალიკოსისეული რედაქცია	32
<i>შუშანიკის წამების</i> იოანე ბატონიშვილისეული რედაქცია	65
რეზიუმე	91
Summary	101
ლექსიკონი	109
ბიბლიოგრაფია	143
სახელთა საძიებელი	146
დანართი – ხელნაწერთა ფოტოკოპირები	153

ბიოგრაფიები

კათალიკოსი ანტონ I (ბაგრატიონი – 1720-1788) ცხოვრება და მოღვაწეობა

ანტონ I-ის დაბადების თარიღი დაზუსტებით არ არის ცნობილი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ის 1720 წლის 17 ოქტომბერს (ძველი სტილით) დაიბადა, ზოგი წყარო 1720 წლის 16 ნოემბერს, ზოგი კი 11 ნოემბერს ასახელებს. ეს ცნობები თავად ანტონისგანვე მომდინარეობს, ამიტომ დაზუსტებით რაიმე დასკვნის გამოტანა რთულია.

ანტონი ბაგრატიონთა სამეფო შტოს წარმომადგენელი იყო, ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ძმის, იესესა და ერეკლე I-ის ასულის, ელისაბედის (ელენეს) ვაჟი, ერისკაცობაში – თეიმურაზი (საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ავალიანი 1987, 12).

იესე ქართლში ჯერ 1714-1716 წლებში, შემდეგ 1724-1727 წლებში მეფობდა. ის სპარსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო, ირანის შაჰის მომხრე და მხარდამჭერი. იესე ცდილობდა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. ვახტანგ VI-ის თქმით, ის „განდგომილი მტერი და ეშმაკი“ იყო. თ. ჟორდანიას შენიშვნით, იესე იყო „ყველაზე უსინდისო და გულზვიადი მეფე გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეთა შორის“ (ავალიანი 1987, 13). ის 1727 წელს გარდაიცვალა.

ანტონი და ერეკლე II ერთმანეთის ბიძაშვილ-მამიდაშვილები და თანატოლები იყვნენ. ისინი ერთად იზრდებოდნენ სასახლეში. ანტონმა, რომელსაც ქართლის სამეფო ტახტისთვის ამზადებდნენ, საფუძვლიანი განათლება მიიღო ჯერ სასახლეში, შემდეგ – გარეჯის მონასტერში. მისი მასწავლებლები იყვნენ არქიმანდრიტი სპირიდონი, პამფილიის მიტროპოლიტი პართენი და სხვები.

ახალგაზრდა (15 წლის) ანტონი დაინიშნა გავლენიანი ფეოდალის, გივი ამილახვრის ქალიშვილზე, მაგრამ მისი საცოლვე თამაზ-ხანმა (შემდგომში – ნადირ-შაჰმა) ირანში წაიყვანა, ხოლო გივი ამილახვარი აჯანყების გამო დაატყვევა. საცოლის დაკარგვამ ანტონს გამოუსწორებელი სულიერი ტრავმა მიაყენა, საერო ცხოვრებაზე უარი თქვა და 1739 წელს გელათის მონასტერში ბერად აღიკვეცა. ამ ამბით უზომოდ შეწუხებული დედა, ელენე სწერდა შვილს:

„რად, შვილო ჩემო, მახული ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებით. ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქუჭყანისა ჩუჭნისა მოქცევისა. ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიცა მეცადინეობენ შეწვენასა განსადევნელად თურქთა“ (ავალიანი 1987, 15).


ანტონის, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ინტრონიზაცია 1744 წლის აგვისტოში მოხდა. ეს ის პერიოდია, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მმართველობის ქვეშ ერთიანდება. ანტონ I-ის, როგორც საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, ძალისხმევა მთლიანად მიმართული იყო ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ. მისი მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი იყო საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და მეცნიერული თვალსაზრისით – თარგმნიდა წიგნებს, წერდა სახელმძღვანელოებს სხვადასხვა დარგში, აარსებდა სასწავლო დაწესებულებებს, მათ შორის იყო სასულიერო სემინარიები თბილისსა (1755) და თელავში (1782), სადაც თავადვე კითხულობდა ლექციებს, ქმნიდა ორიგინალურ ნაწარმოებებს.

1755 წელს საეკლესიო კრებამ კათოლიკე მისიონერებთან დაახლოებულ ევროპული ორიენტაციის ანტონს კათოლიკობა დასწამა და კათალიკოსობიდან გადააყენა. ანტონი რუსეთს გაემგზავრა, სადაც ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა. რუსეთში იგი გაეცნო დასავლეთის უახლეს მიღწევებს მეცნიერების დარგებში. მოგვიანებით ერეკლე II-ის მოწვევით სამშობლოში დაბრუნებული ანტონი, რომელიც აღადგინეს კათალიკოსის ტახტზე, ცდილობს ეს ცოდნა თანამემამულეებს გაუზიაროს და ამ მიზნით ქმნის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლას (www.nplg.gov.ge).

ანტონ I გარდაიცვალა 1788 წელს. დაკრძალულია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

ანტონის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური მემკვიდრეობა შედგება როგორც ნათარგმნი, ისე - ორიგინალური თხზულებებისაგან: 1. წყობილსიტყვაობა; 2. მიწყალეს ანუ 50 სინანულისა ფსალმუნისა თარგმანი; 3. კატეხიზმო მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა; 4. მზა-მეტყუჴლება, რომლითაცა არღუჴვს ჰსწავლათა და დოღმატთა სომხისა და ლათინთა ეკკლესიათა; 5. ღუთის-მეტ-

ყუჭლება ოთხ ნაწილედ; 6. პროლოგი ოთხთა თთუჭთა, ნაცულად დაკარგულისა, ქმნილისა იოანე პეტრინისაგან; 7. წიგნი „აღსა-არებისა“; 8. სპეკალი; 9. კლემაქსი ლექსად; 10. მარტირიკა; 11. ქართუჭლთა წმინდათა და მასთანავე მოწამეობა წმინდისა გრი-გორი, სომეხთა განმანათლებელისა; 12. ქადაგებანი მრავალნი; 13. ღრამმატიკა, სომხურიდამ შედგენილი მიხიტარისა ღრამმატიკისა წესით; 14. ღრამმატიკა, სხვთა საკუთართა სისტემითა შედგენილი; 15. ხიმეტნე ანუ მოკლე, ყრმათათჳს შედგენილი, ღრამმატიკა; 16. რიტორება მიხითარისა, სომხურიდამ გარდმოღებული; 17. გან-მარტება არისტოტელისა კატილორიათა; 18. ფილოსოფია ბაუ-მეისტრისა, რუსულიდან თარგმნილი; 19. ფიზიკა ვოლფიოსისა; 20. მოკლე ისტორია საქართუჭლოდჳსა; 21. განმარტება ეპისტოლისა რომაელთა მიმართ; 22. ისტორია ეფესოს კრებისა; 23. კლდე სარნ-მუნოებისა, სტეფანე იავორსკისა; 24. კუნტოს-კურციოსისა ისტორია ალექსანდრე დიდისა მაკედონელისა; 25. დასდებელნი საგა-ლობელნი პატივად მრავალთა ქართუჭლთა ეკკლესიისა წმინ-დანთა.



ანტონ კათალიკოსის ხელრთვა.

იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი – 1768-1830) ცხოვრება და მოღვაწეობა

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ვაჟი, იოანე ბატონიშვილი დაიბადა 1768 წლის 16 მაისს.

იოანე ბატონიშვილი, როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ჩართული იყო ქვეყნის პოლიტიკურ და სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობაში.

1794-1799 წლებში იოანე ბატონიშვილმა ჯერ პაპის (ერეკლე II) და შემდეგ მამის დავალებით აღწერა საქართველოს კუთხეები (ქართლ-კახეთი, ხევსურეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ახალციხე) და მეზობელი ტერიტორიები (ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანეთი, დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი). მის ამ ნაშრომს დღეს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

მოგვიანებით, 1799 წელს, მამის, გიორგი XII-ის დავალებით შეადგინა *სჯულისდება* – სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმის გეგმა, რომელიც შემდგომში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ვერ განხორციელდა (სურგულაძე, 1957).

იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართველ თავად-აზნაურთა შესახებ – „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“. ეს შრომა დაწერილია საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ მეფობის გაუქმების შემდეგ და მასში საოჯახო ნუსხებსა და სამეფო კარის არქივში დაცულ საბუთებზე დაყრდნობით აღწერილია საქართველოს სამეფოს 88 თავადისა და 281 აზნაურის გვართა წარმოშობისა და გათავადება-გააზნაურების ისტორია (კაცელაშვილი 1997, 3). იოანე ბატონიშვილის ეს ნაშრომი პირველად 1884 წელს ჟურნალ *ივერიაში* გამოაქვეყნა ი. ჭავჭავაძემ (*ივერია* 1884, №№ 1-12).


1801 წელს იოანე ბატონიშვილი გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც მან სიცოცხლის დარჩენილი წლები გაატარა. სწორედ პეტერბურგში დაწერა მან თავისი მრავალფეროვანი ლიტერატურულ-სამეცნიერო მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლი *კალმასობა*, იგივე – *ხუმარსწავლა*. *კალმასობა* საკმაოდ დიდხანს – 15 წლის განმავლობაში ინერებოდა, ამ ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომზე ავტორი 1813-1828 წლებში მუშაობდა. *კალმასობის* ხელნაწერები

1861 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აღმოაჩინა, მასვე ეკუთვნის *კალმა-სობის* პირველი პუბლიკაცია (ბაქრაძე 1862, 1867). იოანე ბატონიშვილის ეს შრომა სრულად დღემდე არ გამოქვეყნებულა.

იოანე ბაგრატიონის მეუღლე იყო ქეთევან წერეთელი (1772-1832). მათ ჰყავდათ ვაჟი, გრიგოლი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1812 წლის აჯანყებაში. იოანე ბატონიშვილის შვილიშვილები (გრიგოლ ბაგრატიონის შთამომავლები) გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

იოანე ბატონიშვილის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ზოგიერთმა თხზულებამ სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, ზოგიერთი კი ნაკლული ან დაზიანებული შემოგვრჩა. გარდა ზემოთ დასახელებული შრომებისა, მასვე ეკუთვნის საბუნებისმეტყველო მეცნიერების ენციკლოპედია (1814), ყრმათა სასწავლებლად განკუთვნილი „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი“ (1829); რუსულ-ქართული ლექსიკონი; სულხან-საბა ორბელიანის *სიტყვის კონიდან* გამოკრებილი მცირე ქართული განმარტებითი ლექსიკონი; ნარევი ტიპის (განმარტებითი, ენციკლოპედიური, თარგმნითი) *ქართული ლექსიკონი*, რომლის მხოლოდ ნაწილია ჩვენამდე მოღწეული; ლექსად დაწერილი *მიბაძვა იოანე სინელის კიბისა* (1807), ორიგინალური თხზულებანი *პატარა ედემით განძევა*, *აღსარება*, სამკურნალო წიგნი და სხვა. მანვე თარგმნა აბატი კონდილიაკის *ლოღიკა* (1806) (იხ. გოგატიშვილი 2014, 81-90; დაუშვილი 2012, 35-36).

იოანე ბაგრატიონი გარდაიცვალა 1830 წლის 15 თებერვალს, 61 წლის ასაკში. დაკრძალულია პეტერბურგში.



იოანე ბატონიშვილის ხელრთვა

შუშანიკის წამების გვიანდელი რედაქციების შესახებ

ანტონ I კათალიკოსის რედაქცია მარტირიკიდან

ანტონ I-ის წიგნი *მარტირიკა*, შესხმა და ისტორია ქრისტესთვის ვნებულთა მონამეთა ქართუელთა და სხუათა სულ 20 თხზულებისგან (*სიტყუა*) შედგება. მეოთხე ტექსტად წარმოდგენილია *შუშანიკის წამების* ანტონისეული რედაქცია სათაურით *შესხმა და მოთხრობა ღუანლთა წმიდისა დიდისა მონამისა, რანთა დედოფლისა სუსანნაისა, ზედწოდებით შუშანიკისა*.

შუშანიკის წამებას ისევე, როგორც *მარტირიკაში* შესულ სხვა თხზულებებს, ახლავს ანტონ კათალიკოსის მიერვე შედგენილი იამბიკო.

მარტირიკის დაწერის თარიღად ვ. კეკელიძე 1769 წელს მიიჩნევს (კეკელიძე 1954, 381), თუმცა ნ. ჯანაშიამ არგუმენტირებულად აჩვენა, რომ ანტონის ეს შრომა იწერებოდა 1768-1769 წლებში და რომ მისი დიდი ნაწილი 1768 წელს უკვე უნდა არსებულიყო (ჯანაშია 1975, 75). სწორედ 1768 წელს, ანტონის მუშაობის პარალელურად, უნდა იყოს გადაწერილი S 1272 ხელნაწერი (ე. ი. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ნუსხა *მარტირიკისა*). თუმცა, როგორც *მარტირიკის* გამომცემლები, ე. გაბიძაშვილი და მ. ქავთარია, მიუთითებენ, „S 1272 ხელნაწერი არ არის სათანადოდ გაფორმებული ცალი, იგი ჭერ კიდევ მწერლის ლაბორატორიის ეგზემპლარია“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980, 436). წინასიტყვაობით გაფორმებულ ეგზემპლარს კი, ავტორის მიერ დასრულებულად მიჩნეულს, Q 78, 1769 წლით დათარიღებული ხელნაწერი წარმოადგენს. ამასთან, Q 78 ერთადერთია *მარტირიკის* სრულ ხელნაწერთაგან, რომელიც ნუსხურითაა შესრულებული. დანარჩენი ხელნაწერები მხედრულითაა გადაწერილი.

მარტირიკა სრულად დაცულია ჩვენამდე მოღწეულ შვიდ ხელნაწერში. ყველა მათგანი ვ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ესენია: Q 78 (1769 წ.), S 1272 (1768 წ.), S 2988 (1790 წ.), S 3638 (1799 წ.), A 1484 (1806 წ.), H 907 (1821 წ.), H 990 (XIX ს.).

ანტონის რედაქცია, ცხადია, ეყრდნობა იაკობ ხუცესის ქართულ რედაქციას (ქართული ვრცელი რედაქცია).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, *შუშანიკის წამების* ავტორად იაკობ ხუცესს პირველად სწორედ ანტონ კათალიკოსი ასახელებს (აბულაძე 1938, 07). ანტონ I-ს სხვადასხვა ტიპის ცვლილება შეაქვს იაკობ ხუცესისეულ ტექსტში. ანალიზებს რა ანტონისეულ ცვლილებებს და მათ მიზანდასახულობას, ნ. ჭანაშია აღნიშნავს: „ნათლად ჩანს მისი (ანტონის) ტენდენცია შეალამაზოს შუშანიკის სახე და უფრო უარყოფითად დახატოს ვარსქენისა“ (ჭანაშია 1975, 98). მკვლევარი დეტალურად აჩვენებს მსგავს კონტექსტებს, ამიტომ ჩვენ მათ აღარ შევხებით.

საინტერესოა, კონკრეტულად რომელ ხელნაწერებს ეყრდნობა ანტონი ტექსტის მისეული რედაქციის შექმნისას.

როგორც ჩანს, ანტონ კათალიკოსი არ იცნობს პარხლის მრავალთავში დაცულ, ანუ *შუშანიკის წამების* დღემდე მოღწეულ უძველეს ტექსტს. ვიცით, რომ მარიამ დედოფალმა, როსტომ მეფის მეუღლემ, ეს ხელნაწერი XVII საუკუნეში დაიხსნა ურუმთა ტყვეობიდან, ანუ ანტონის მოღვაწეობის პერიოდში იგი უკვე იყო საქართველოში, თუმცა, შესაძლოა, იგი კერძო პირს ეკუთვნოდა და ანტონს მასზე ხელი არ მიუწვდებოდა.

ტექსტების ურთიერთშეჭერებამ გვიჩვენა, რომ ანტონ კათალიკოსი არ იყენებს იმ ფორმებს, რომლებიც დაცულია მხოლოდ A 95 ხელნაწერში და *შუშანიკის წამების* არცერთ სხვა ხელნაწერში არ გვხვდება. ასე, მაგ.: პარხლის ხელნაწერისეული იკითხვისი ქართლში მობრუნებული ვარსქენის შესახებ გვეუბნება, რომ ვარსქენმა სადესპანო ცხენით მსახური გაგზავნა სასახლეში, რათა მას პატივით შეხვედროდნენ შვილები და ხელქვეითები, „რადთა მათ გამო, ვითარცა **გული**, სოფლად შევიდეს“ (IIთ). გვიანდელი ხელნაწერებიდან ყველაზე ძველში – A 130-ში – შესაბამის ადგილას გვაქვს **გული** (A 176-ში – დაქარაგმებული ფორმა **გ~ლი**), რაც კონტექსტს რამდენადმე გაუგებარს ხდის („ვითარცა **გული**, სოფლაიდ შევიდეს“, Iთ). ამიტომ ყველა დანარჩენ ხელნაწერში ეს ფორმა დაბუსტებულია იკითხვისით **ერთგული**. ანტონისეული ტექსტის ამავე მონაკვეთში გვაქვს ფორმა **გული**, თუმცა ანტონი მას შესაბამის კონტექსტს მიუსადაგებს: ჰერეთის საზღვარს მოახლოებულმა ვარსქენმა განიზრახა, „რადთა წარჰგზავნოს ჰამბავი მოსლვისა თუსისა სახლისა და